KINGS · ქართული ენის ოლიმპიადა

ტესტების მიმოხილვა

IX კლასი · 2026 წლის შემოდგომა

I უფასო ტური · 8 ნოემბერი

ტესტის სტრუქტურა

#	სავარჯიშო	შეკითხვა	ქულა
I	ზმნა და მისი ადგილი მეტყველების ნაწილებს შორის	5	10
II	ზმნისწინი და მისი ძირითადი ფუნქცია	5	10
III	პირი ზმნაში	5	10
IV	მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი ზმნაში	5	15
V	ასპექტი	5	15
VI	ტექსტის გააზრება	10	40
+	ბონუს სექცია	5	+25
	სულ	**35 + 5**	**100 + 25**

ტესტის შესახებ

IX კლასის ტესტი შედგება **6 სავარჯიშოსა** და **ბონუს სექციისგან**. ძირითადი ნაწილი შეიცავს **35 შეკითხვას** და ფასდება **100 ქულით**, ბონუს სექცია კი **5 შეკითხვას** (დამატებით **25 ქულა**). ყველა შეკითხვა დახურული ტიპისაა: სამი სავარაუდო პასუხიდან (ა, ბ, გ) სწორია **მხოლოდ ერთი**. ტესტი ეძღვნება ზმნას და მის გრამატიკულ კატეგორიებს, ბოლო სავარჯიშოში კი ამოწმებს ისტორიული ტექსტის გააზრებას.

სავარჯიშოები

I. ზმნა და მისი ადგილი მეტყველების ნაწილებს შორის

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 2 ქულა თითოეულზე · სულ 10 ქულა**

ზმნა და მისი ადგილი მეტყველების ნაწილებს შორის: ზმნის ამოცნობა და მისი გრამატიკული მახასიათებლები.

მაგალითი

ჩამოთვლილთაგან რომელია ზმნა? **ა)** სიმღერა **ბ) მღერის** **გ)** მომღერალი

სწორი პასუხი: ბ) მღერის → „მღერის“ მოქმედებას აღნიშნავს და პირსა და დროს გამოხატავს; „სიმღერა“ და „მომღერალი“ სახელებია.

II. ზმნისწინი და მისი ძირითადი ფუნქცია

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 2 ქულა თითოეულზე · სულ 10 ქულა**

ზმნისწინი და მისი ფუნქციები: მიმართულების აღნიშვნა, მომავალი დროისა და სრული ასპექტის წარმოება.

მაგალითი

რას გამოხატავს ზმნისწინი, მიმართულების გარდა?

ა) მომავალ დროსა და სრულ ასპექტს
ბ) ბრუნვას
გ) რიცხვს

სწორი პასუხი: ა) მომავალ დროსა და სრულ ასპექტს → წერს → დაწერს: ზმნისწინი „და-“ ზმნას მომავალი დროის ფორმასა და სრულ ასპექტს აძლევს.

III. პირი ზმნაში

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 2 ქულა თითოეულზე · სულ 10 ქულა**

პირი ზმნაში: სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნები, ზმნის პირის განსაზღვრა.

მაგალითი

რომელი პირის ფორმაა „ვხატავ“? **ა) I პირის** **ბ)** II პირის **გ)** III პირის

სწორი პასუხი: ა) I პირის → „ვ-“ I სუბიექტური პირის ნიშანია: მე ვხატავ.

IV. მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი ზმნაში

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 3 ქულა თითოეულზე · სულ 15 ქულა**

მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი ზმნაში: რიცხვის ნიშნები და ქვემდებარე-შემასმენლის შეთანხმება.

მაგალითი

რომელი ზმნური ფორმა მიუთითებს სუბიექტის მრავლობითობაზე? **ა) ვწერთ** **ბ)** ვწერ **გ)** წერს

სწორი პასუხი: ა) ვწერთ → „-თ“ მრავლობითობის ნიშანია: ვ-წერ-თ (ჩვენ).

V. ასპექტი

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 3 ქულა თითოეულზე · სულ 15 ქულა**

ასპექტი: სრული და უსრული ასპექტის ზმნები და მათი გარჩევა.

მაგალითი

რომელი ზმნაა სრული ასპექტის? **ა)** აშენებს **ბ) ააშენა** **გ)** აშენებდა

სწორი პასუხი: ბ) ააშენა → სრული ასპექტი დასრულებულ მოქმედებას აღნიშნავს: „ააშენა“ - მოქმედება ბოლომდეა მიყვანილი.

VI. ტექსტის გააზრება

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **10 შეკითხვა · 4 ქულა თითოეულზე · სულ 40 ქულა**

მოცემულია ისტორიული ტექსტი მიქელ-გობრონზე. შეკითხვები ამოწმებს ტექსტის დეტალურ გაგებასა და დასკვნის გამოტანის უნარს.

მაგალითი

> *1879 წელს იღია ჭავჭავაძის აქტიური მონაწილეობით დაარსდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. საზოგადოება ხსნიდა სკოლებს, ბეჭდავდა წიგნებს და ზრუნავდა, რომ ქართული სიტყვა სოფლის ყველა ბავშვისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო.*

რა იყო საზოგადოების მთავარი მიზანი?

ა) ვაჭრობის განვითარება

ბ) განათლებისა და ქართული წიგნის გავრცელება

გ) ჯარის შექმნა

სწორი პასუხი: ბ) განათლებისა და ქართული წიგნის გავრცელება → საზოგადოება სკოლებს ხსნიდა და წიგნებს ბეჭდავდა, რომ ქართული სიტყვა ყველასთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო.

ბონუს სექცია

ძირითადი ტესტის შემდეგ მოცემულია ბონუს სექცია: **5 შეკითხვა**, თითოეული 5 ქულა, ჯამში **25 ქულა**. შეკითხვები ზოგადია და ეხება ლექსიკას, ანდაზებს, გამოცანებსა და ფრაზეოლოგიზმებს. ბონუს ქულებით მოსწავლეს შეუძლია ტესტში დაშვებული **შეცდომები აანაზღაუროს**.

ქართული ენის ოლიმპიადის I უფასო ტური გაიმართება 8 ნოემბერს. გელოდებით!